	პროგრამის აღწერა და მიზანი	ქ. ონში საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის პროექტი გულისხმობს, აღმაშენებლის მოედნის, გიგა ჯაფარიძის სახელობის სკვერის მოწყობა-რეაბილიტაციას, რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას კახაბერის, ვახტანგ მე-6, ბააზოვის ქუჩების გარკვეულ მონაკვეთებზე საფეხმავლო ბილიკების, ღობეების, გამწვანების ზოლების, გარე განათების მოწყობას. პროექტის განხორციელება ითვალისწინებს ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარებას. მომავალ წლებშიც გაგრძელდება აღნიშნული სამუშაოები, ამ პროგრამის ფარგლებში ასევე შესრულდება ქალაქ ონში და სოფლებში: ღებში, ჭიორაში, გლოლაში და კურორტ შოვში მინერალური წყლების რეაბილიტაციის სამუშაო, რომლის დაფინანსება მოხდება რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონიდან და თანადაფინანსებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან. პროგრამით ასევე გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის ფარგლებში მიღებული გრანტით, სოფელ მრავალძალში სარიტუალო (საქორწინო) ღია გადმოსახედის მოწყობის სამუშაოზე, ქ.ონის შესასვლელთან მდ.რიონზე არსებული ზ. გამსახურდიას სახელობის ხიდზე დეკორატიული ქოთნების მონტაჟი და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტული ნიშნულების მოწყობა, მანიშნებელი QR კოდების მონტაჟი; საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში მიღებული დაფინანსებით შესრულდება ქალაქ ონში ბაზრის კეთილმოწყობის სამუშაო, ამალდება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და კულტურული ცხოვრების დონე. ხელი შეეწყობა ტურიზმისა და სხვადასხვა კერძო ბიზნესის განვითარებას. ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი სამუშაოები: ქ. ონში ვახტან მე-6-ის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანთან სკვერის მოწყობის სამუშაო; ქ.ონში სახელაშვილის დასახლების და სააკაძის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანების ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაო; სოფელ მრავალძალის ცენტრში არსებული სკვერის რეაბილიტაცია. პროგრამა ასევე ითვალისწინებს სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტის ფარგლებში გამოვლენილი ორი პროექტის დაფინანსებას, კერძოდ: მინერალური წყლის ღია ბასეინის მოწყობასა და ტურისტულად აქტიურ 10 ლოკაციაზე ბიო ტუალეტების დადგმას. ამ პროგრამით გათვალისწინებულია წინა წლებში შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით საგარანტიო თანხები. ქვეპროგრამის მიზანია ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება, ქალაქის იერსახის შეცვლა-გალამაზება, ხელი შეეწყოს ტურიზმის განვითარებას.	



მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; ქალაქის ტერიტორიის ლამაზი, მოვლილი და მიმზიდველი გარემო.
--------------------	--

კოდი	პროგრამის დასახელება	საპროექტო დოკუმენტაციისა და საპროექტო და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 06			672.4
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
	პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა და მიმდინარე სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება. იგეგმება შემდეგი პროექტების შესყიდვა: 1. ქალაქ ონში მდ.რიონის მარცხენა სანაპიროზე წყალანიერების ქსელის მოწყობა და წყალგამწმენდი ნაგებობების მოწყობა; 2. სოფელ წმინდაურში წყალანიერების ქსელის მოწყობა და გზის ასფალტირება; 3. სოფელ ლავანთაში წყალანიერების ქსელის მოწყობა და გზის ასფალტირება; 4. სოფელ უწერაში წყალანიერების ქსელის მოწყობა და გზის ასფალტირება; 5. სოფელ წოლაში გზის რეაბილიტაცია; 6. შრდომეთი - ახალი ჩორდის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია; 7. გომი-ჯინჭვისის გზის რეაბილიტაცია; 8. გზების კაპიტალური მშენებლობაზე სოფლებში: ფარახეთი, კომანდელი, ხირხონისი, ქორთა, ქრისტესი, სხიერი, ბოყვა, ზუდალი (მენაბდეების უბანი), ჭალა და შეუბანი; 9. ქალაქ ონში გ.ჯაფარიძის სახელობის ბულვარში საზოგადოებრივი ტულეტის მოწყობა; 10. ქალაქ ონში, ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოს პროექტირების მეორე ეტაპი (ქაფიანიძის ქუჩა, ლეზანიძის სანაპირო, ვახტანგ მეექვსის ქუჩა და ბარათაშვილის ქუჩა); 11. სოფელ შქმერი-მრავალძლის დამაკავშირებელი არსებული გზის რეაბილიტაცია (მყარსაფარიანის მოწყობით); 12. ქ.ონში აღმაშენებლის ქუჩა N46-ში მდებარე ყოფილი ბაგა ბალის შენობა; 13. სოფ. შეუბანში ადმინისტრაციული შენობა; 14. სოფელ ღებდან სასვანოს ტბებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; 15. ბრილში ხიდის მოწყობა. ქვეპროგრამის მიზანია: შეიქმნას მაქსიმალურად ზუსტი და ხარისხიანი საპროექტო დოკუმენტაცია და მოხდეს მიმდინარე სამუშაოების კონტროლი.	
	მოსალოდნელი შედეგი	ხარისხიანი საპროექტო დოკუმენტაციის და სამუშაოების შესყიდვა.	

კოდი	პროგრამის დასახელება	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 07			767.4
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
	პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით განხორციელდება დაფინანსება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თახებით, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასევე საკუთარი შემოსავლებით წილობრივად. სამუშაოების შესრულება განხორციელდება სოფლის მოსახლეობის მიერ შერჩეული პრიორიტეტით, რაც დამტკიცებულია საკრებულოს განკარგულებით. ქვეპროგრამის მიზანია გაუმჯობესებული იქნას სოფლების ინფრასტრუქტურა და სოფლად მაცხოვრებელი მოსახლეობის ყოფითი პირობების გაუმჯობესება.	
	მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა სოფლად	

კოდი	პროგრამის დასახელება	სანიაღვრე არხებისა და, ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 08			4,728.4



პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქ. ონის ტერიტორიაზე უხვი ნალექის დროს არსებული სანიაღვრე სისტემები დაზიანებების გამო ვერ უზრუნველყოფს წყლის ნაკადის შეჩერებას. ხდება საგზაო ინფრასტრუქტურისა და კერძო საკარმიდამო ნაკვეთების და კომერციული ფართების დატბორვა, საფრთხე ექმნება მოქალაქეთა ჯანმრთელობას. არსებული მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობას, ასევე სოფლებში კვაშხეთში, ხირხონისში (ქვედა უბანი), ჭიორაში (ქვედა უბანი), ნიგვზარაში და ლავგანთაში სანიაღვრე სისტემის მოწყობა. უხვი ნალექის პირობებში სანიაღვრე სისტემებმა დაუბრკოლებლად უნდა შეძლოს ზედაპირული და ფერდობებიდან ჩამომავალი წყლის ნაკადის გატარება, რომ თავიდან ავიცილოთ ქალაქის ტერიტორიის დატბორვა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების დაზიანება. დაფინანსება მოხდება წილობრივად ადგილობრივი ბიუჯეტის ფარგლებში. პროგრამა ასევე ითვალისწინებს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული კალაპოტის წმენდისა და ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოებს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ონის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების წმენდა, რათა ჩამდინარე წყლების მართვა მოხდეს შეუფერხებლად. ქვეპროგრამის მიზანია პროგრამის მიზანია რებილიტირებული და მოწესრიგებული იქნას ბალანსზე რიცხული შენობები.
მოსალოდნელი შედეგი	სტიქიის უარყოფითი შედეგების პრევენცია, კერძო საკარმიდამო ნაკვეთებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების დაცვა. მოსახლეთა უსაფრთხო ცხოვრება, მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილება.

კოდი	პროგრამის დასახელება	მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარება	2022 წლის დაფინანსება ლარებში
02 09			192.9
	პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სამსახური	
	პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ შემენილი იქნება მაღალი გამავლობის ერთი ერთეული ახალი მიკროავტობუსი, რათა მოხდეს მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. ასევე იგეგმება შპს ონის სერვის ჯგუფის სუბსიდირება ავტოსატრანსპორტო საშუალებების და სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების სარემონტო სამუშაოები.	
	მოსალოდნელი შედეგი	უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებით კმაყოფილი მოსახლეობა	

კოდი	პროგრამის დასახელება	ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კალსტერების შექმნის და ინვესტიციების მოზიდვის გზით	2022 წლის დაფინანსება ლარებში
02 10			344.6
	პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სამსახური	
	პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში იგეგმება ონის მუნიციპალიტეტში 2 ბიზნეს კლასტერის შექმნა (თითოეულში მინიმუმ 15 წევრი მიკრო, მცირე და საშუალო კომპანია). კლასტერების და მათი წევრი მცირე და საშუალო კომპანიების უნარების გაუმჯობესება და საპილოტე პროექტების განხორციელება ქვე-გრანტის კომპონენტის საშუალებით. საინვესტიციო მიმზიდველობის გაუმჯობესება. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების გაზრდილი კონკურენტუნარიანობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ინვესტიციების ზრდა. გაუმჯობესებული სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა.	
	მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება, საინვესტიციო მიმზიდველობის გაუმჯობესება.	



2. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 577.2 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	577.2
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	525.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	42.2
03 03	უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები	10.0

კოდი	პროგრამის დასახელება	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
03 01			525.0
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
	პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ონში და მუნიციპალიტეტის სოფლებში დასუფთავებისა და მასთან დაკავშირებულ მომსახურებას; მოხდება შეგროვილი ნარჩენების ტრანსპორტირება ნაგავსაყრელ პოლიგონზე, ტერიტორია სადაც დგას ბუნკერები დღის განმავლობაში მუდმივად დასუფთავდება, დაცული იქნება მოედნების და სკვერების გამწვანების ზოლი ცხოველების დაზიანებისაგან, ასევე მოხდება დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების ორგანიზება ქალაქ ონის მოსახლეობიდან, ეტაპობრივად დასუფთავების არეალი გაიზრდება. ასევე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერების შესყიდვა. ქვეპროგრამის მიზანია ნარჩენების შეგროვების ეფექტურობის გაზრდა, რათა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შევინარჩუნოთ უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა გარემო.	
	მოსალოდნელი შედეგი	დასუფთავებული, უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა გარემო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.	

კოდი	პროგრამის დასახელება	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
03 02			42.2
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
	პროგრამის აღწერა და	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ონში არსებულ სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები: ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და	



მიზანი	საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი მაქსიმალურად გაზრდილი რეკრეაციული ზონები და მოვლილი მწვანე ნარგავები.
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის განვითარება; ქალაქის ტერიტორიის ლამაზი, მოვლილი და მიმზიდველი გარემო.

კოდი	პროგრამის დასახელება	უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
03 03			10.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული უმეტესაწესრიგად დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში დროებით გადაყვანის და შესაბამისი მომსახურების გაწევის დაფინანსება. პროგრამის მიზანია მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.		

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 708.7 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
04 00	განათლება	708.7
04 01	სკოლამდელი განათლება	364.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	104.1
04 03	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	93.5
04 04	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	147.2

კოდი	პროგრამის დასახელება	სკოლამდელი განათლება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 01			364.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღი		



პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ბაგა-ბალი მიზნად ისახავს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჰოლისტურ განვითარებას, ინკლუზიურ განათლებას, აღსაზრდელების უსაფრთხოებასა და საუკეთესო ინტერესების დაცვას, სტანდარტის შესრულების გაძლიერებას, ბავშვთა სკოლისათვის მომზადებას. აღზრდელების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად გადამზადებას და ავტორიზაციისათვის მომზადებას. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 1 ბაგა-ბალი სადაც დღეის მდგომარეობით შესაძლებელია 160 ბავშვის სწავლება, სოფელ გლოლაში არის საბავშვო ბაღი, კვებით უზრუნველყოფით, ხოლო უწერაში და პიპილეთში სკოლამდელი განათლების ცენტრი 3 საათიანი ფუნქციონირებით. სულ სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმებულია 44 თანამშრომელი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სამზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ბავშვის უზრუნველყოფა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესით; სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა შესაბამისი განათლების მიღებისათვის; ბავშვების ოპტიმალური ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად შესაფერისი გარემოს შექმნა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>სკოლამდელი აღზრდის დასებულების მომსახურებით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტში მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები; სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა შესაბამისი განათლების მიღებისათვის;</p>

კოდი	პროგრამის დასახელება	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია-მშენებლობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარებში
04 02			104.1
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ქალაქ ონში არსებული საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სარეკონსტრუქციო სამუშაოები წილობრივი თანადაფინანსებით. პროგრამის მიზანია რეაბილიტირებული იქნას მუნიციპალიტეტში არსებული საბავშვო ბაღი.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული და სწავლისთვის შესაფერისი პირობების მქონე საბავშვო ბაღი.		

კოდი	პროგრამის დასახელება	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარებში
04 03			93.5
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ამ პროგრამით გათვალისწინებულია სოფელ შეუბნისა და სოფელ გლოლის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია. ასევე წინა წლებში სოფელ ღებში და ჭიორაში რეაბილიტირებული საჯარო სკოლებში შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით საგარანტიო თანხები. პროგრამის მიზანია: რეაბილიტირებული იქნას მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლები.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	რეაბილიტირებული და სწავლისთვის შესაფერისი პირობების მქონე საჯარო სკოლები.		

კოდი	პროგრამის	2022 წლის დაფინანსება ათას ლარებში
------	-----------	------------------------------------



	დასახელება	საჯარო სკოლების მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა	
04 04			147.2
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური	
	პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამით გათვალისწინებულია სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა ისეთი სოფლებიდან, სადაც არ არის საჯარო სკოლა, ბავშვების გადაყვანას ახლო მდებარე საჯარო სკოლებში და მათ უკან სახლში დაბრუნებას. ამ პროგრამით განხორციელდება 2021 წელს აღებული ვალდებულებების დასრულება. პროგრამის მიზანია: ყველა მოსწავლისათვის სკოლაში მისასვლელი უსაფრთხო ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.	
	მოსალოდნელი შედეგი	საჯარო სკოლებში მოსიარულე მოსწავლეთა გაზრდილი რაოდენობა უსაფრთხო ტრანსპორტის ხელმისაწვდომობით.	

4. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1,082.0 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1,082.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	247.7
05 01 01	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი	163.7
05 01 02	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი მამისონი	84.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	718.6
05 02 01	სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობის ღონისძიებები	102.0
05 02 01 01	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის ზურა ბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლა	49.0
05 02 01 02	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა	53.0
05 02 02	კულტურის ცენტრის დაფინანსების ღონისძიებები	192.7
05 02 03	მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები	70.0
05 02 04	ბიბლიოთეკის დაფინანსების ღონისძიებები	81.0
05 02 05	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი	44.0
05 02 06	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	228.9
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	61.7
05 04	მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება	54.0



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		163.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>სასპორტო სკოლის კომპლექსი აერთიანებს 2 სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი ჭიდაობა (35 ბავშვი); ქართული ჭიდაობა (7 ბავშვი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (12 ბავშვი); კალათბურთი (40 ბავშვი) . სულ კომპლექსში სპორტის სახეობებს ეუფლება 94 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 4-ჯერ. კომპლექსში დასაქმებულია ჯამში 19 ადამიანი. კომპლექსის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ. დაგეგმილ ღონისძიებებსა და ტურნირებში მონაწილეობისათვის სპორტსმენების, მწვრთნელების და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის და კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობის განსაზღვრა და მისი ანაზღაურება მოხდება ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ოქტომბრის N24 დადგენილების შესაბამისად.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩაბმა სპორტულ აქტივობებში, ბავშვებისა და მოზარდების მეთოდური აღზრდა/დაოსტატება; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.სპორტული ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარება. 		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტული წრეებით სარგებლობის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა; ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავებული ახალგაზრდობა; წარმატებული სპორტსმენები და მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდები სპორტის სხვადასხვა სფეროში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		84.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საფეხბურთო კლუბი მამისონი, სადაც სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ფეხბურთს ეუფლება 48 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 4-ჯერ. კომპლექსში დასაქმებულია ჯამში 11 ადამიანი. კლუბის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში, რეგიონებში საქართველოს მთელი მასშტაბით. დაგეგმილ ღონისძიებებსა და ტურნირებში მონაწილეობისათვის სპორტსმენების, მწვრთნელების და წარმომადგენლების სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას მგზავრობის, საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის და კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობის განსაზღვრა და მისი ანაზღაურება მოხდება ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ოქტომბრის N24 დადგენილების შესაბამისად.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა ფეხბურთში, ბავშვებისა და მოზარდების მეთოდური აღზრდა/დაოსტატება; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. საფეხბურთო შეჯიბრებების მაღალ დონეზე ჩატარება. 		
მოსალოდნელი შედეგი	ფეხბურთით სარგებლობის მაქსიმალური ხელმისაწვდომობა; ფეხბურთით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა; ჯანსაღი ცხოვრების წესით დაკავებული ახალგაზრდობა;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის ზურა ბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
-------------------------	------	---	----------------------------------



	05 02 01 01		49.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის ზურა ბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლა სადაც დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 29 ბავშვი. ბავშვები ეუფლებიან ფორტეპიანოზე დაკვრას, ასევე სწავლობენ თეორიულ საგნებს. სამუსიკო სკოლაში დასაქმებულია 10 თანამშრომელი.</p> <p>სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეები ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე. მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		53.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამხატვრო სკოლა სადაც განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 76 ბავშვი. სამხატვრო სკოლაში ბავშვები ეუფლებიან ხატვას, ფერწერას, კომპოზიციას, ძერწვას, თექას, ბატიკას, ხის მხატვრულ დამუშავებას, ქსოვას. სკოლაში სულ დასაქმებულია 9 თანამშრომელი.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; განსაკუთრებული სამხატვრო ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სამხატვრო განათლებაზე ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი მოთხოვნა; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ცენტრის დაფინანსების ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		192.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>კულტურის სახლში მოქმედებს სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის 7 შემოქმედებითი წრე: ქორეოგრაფიული, საესტრადო, ქართული სალხური სიმღერის შემსწავლელი, ქართული ხალხური ინსტრუმენტების - ფანდურის შემსწავლელი და ქართული ხალხური ინსტრუმენტების - სტვირის შემსწავლელი წრე, სასცენო მეტყველების შემსწავლელი და თეატრალური წრე. სულ წრეებში გაწევრიანებულია 180 ბავშვი. კულტურის სახლში დასაქმებულია 40 ადამიანი. ანსამბლები მონაწილეობას იღებენ საქართველოს მასშტაბით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებასა და ფესტივალებში.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - განახორციელოს მუნიციპალიტეტში ადრე გავრცელებული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების შესწავლა და აღორძინება. - შეიმუშაოს სხვადასხვა კულტურული პროგრამა და უზრუნველყოს მისი განხორციელება. - დაეგმოს მასობრივი ღონისძიებები და უზრუნველყოს ფართო საზოგადოების ჩართულობა. - მოაწიოს ექსპედიციები სხვადასხვა ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალის მოძიებისა და პოპულარიზაციის მიზნით. 		



მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი მოთხოვნა კულტურის სხვადასხვა სფეროს მიმართ; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილთა გაზრდილი მაჩვენებელი; ეროვნულ ტრადიციებზე აღზრდილი თაობა.
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუზეუმის ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		70.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ონის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც წარმოადგენს კულტურის, განათლების, მეცნიერების კერას. სადაც დაგეგმილია 14 000-ზე მეტი ძირითადი და დამხმარე ექსპონატები მათ შორის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, შუასაუკუნეების რელიეფები, ნუმიზმატიკური, ხელნაწერი და ძველბეჭდური წიგნები, ხელნაწერი ისტორიული დოკუმენტები და სხვადასხვა პატარა კოლექციები. მუზეუმში დასაქმებულია 13 თანამშრომელი. მუზეუმი მასპინძლობს როგორც უცხოელ ასევე ადგილობრივ ვიზიტორებს, აწვობს არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ, პალეონტოლოგიურ, ფოლკლორულ ექსპედიციებს რაჭის სხვადასხვა სოფლებში. მიმდინარეობს სამეცნიერო საგანმანათლებლო საქმიანობა და მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა კვლევით დაწესებულებებთან. მეცნიერთანამშრომლები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა პროექტის ფარგლებში დაფინანსებულ ბუკლეტებისა და კატალოგების გამოცემაში. მუზეუმში ეწყობა სხვადასხვა მხატვრების სახვითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა, პრეზენტაცია ხდება სხვადასხვა წიგნების, ალბომებისა და კატალოგების. დეზინფიცია-დეზინექცია უტარდება მუზეუმის ფონდებში დაცულ ხისა და ტექსტილის ნიმუშებს.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: სახვადასხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, ექსპონატების შეგროვება დაცვა პოპულარიზაცია, მჭიდრო თანამშრომლობა მოსწავლე ახალგაზრდობასთან, ვოლონტერებთან, საზოგადოების ფართო მასების აქტიური ჩართულობა ჩვენი კუთხის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შესწავლის საქმეში.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	დაცული და შესწავლილი კულტურული მემკვიდრეობის ექსპონატები; ვიზიტორთა რაოდენობის მატება;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბიბლიოთეკის დაფინანსების ღონისძიებები	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		81.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა შედგება 1- ქალაქის და 17 სასოფლო ბიბლიოთეკისაგან. წიგნადი ფონდი შეადგენს სოფლად და ქალაქად -62408 ეგზემპლარს. ბიბლიოთეკაში დასაქმებულია 26 თანამშრომელი, რომელიც ემსახურება ყველა ასაკის მკითხველს. წლის განმავლობასი ხორციელდება სხვადასხვა პროექტები. კითხვის სადამოები ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენები. დაგეგმილია წიგნადი ფონდების განახლება, შემეცნებითი შეხვედრების ჩატარება სკოლებში.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრი	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 05		44.0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრი
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას; წინადადებების შემუშავება ტურიზმის პოტენციალის გაზრდის მიზნით; ტურიზმის სფეროში სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება შეგროვება; ტურიზმის სფეროში მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციიდან თანამშრომლობის გზით წინადადებების შემუშავება, ტურისტული მომსახურების სფეროში არსებული გამიცდილების გაზიარებისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით შესაბამისი პროექტების მომზადება.
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილი ტურისტული პოტენციალი

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 06		228.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამების განხორციელება ითვალისწინებს ონის მუნიციპალიტეტში საერო-სადღესასწაულო დღეების აღნიშვნას, მუნიციპალური ღონისძიებების ონელობა და ახალი წელი; ინკლუზიური განათლების მხარდაჭერა (ართერაპია); კულტურათა დიალოგი - მხატვრობაში; საერთაშორისო სპორტის დღე მშვიდობისა და განვითარებისათვის; ინტელექტუალური კონკურსი "ეტალონი"; მურმან ლებანიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება; კომპოზიტორ ზაზა კილასონიას ღონისძიება; პროექტი გაიცანი მსოფლიო და განვითარე შენი რაიონი/ქალაქი; წარმატებული სპორტსმენების დახმარება; პროექტი „კინოს დაბრუნება ონი“ და ტენისის მოყვარულთა ჩემპიონატი; ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „კავკასია 2022“ - საფესტივალო ბანერის, პრიზებისა და დიპლომების შექმნა; ახალგაზრდული ტელევიზია „GNS“ მხატვრულ-დოკუმენტური გადაცემა „იარე ჩვენთან ერთად“ დაფინანსება; აგროტურისტული ფესტივალი 2022 წელი; ანსამბლ „თარიკონი“-ს კონცერტი. აღნიშნული ღონისძიებები ითვალისწინებს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ჩართულობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია-დანერგვას. ქვეპროგრამის მიზანია: შესაძლებელი გახდეს მუნიციპალიტეტში და რეგიონში მცხოვრები მოსწავლე ახალგაზრდობისათვის არაფორმალური დამატებითი სწავლების სისტემის გაუმჯობესება და სკოლისგარეშე განათლების სრულყოფა. მოსახლეობისათვის სპორტის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა, სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება და პოპულარიზაცია, წარმატებული მწვრთნელებისა და სპორტსმენების დახმარება, მოზადრებსა და მწვრთნელების სტიმულის გაღვივება უკეთესი შედეგის მიღწევისათვის.		
მოსალოდნელი შედეგი	შენარჩუნებული და განვითარებული კულტურული მემკვიდრეობა; მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში გაზრდილი ჩართულობა; საზოგადოებაში ამაღლებული ცნობიერება სკოლისგარეშე, არაფორმალური განათლების, სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის ორგანიზების მიმართულებით.		

პროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 03		61.7
პროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	სოფელ მრავალძალში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის დამხმარე შენობის კეთილმოწყობა და სოფელ ლაჩთაში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ეზოში ფერდის დამცავი კედლის, მოაჯირისა და ტერიტორიის მოსწორება.		
მოსალოდნელი შედეგი	მოვლილი და განახლებული რელიგიური ძეგლები.		



პროგრამის დასახელება	კოდი	მოსწავლე ახალგაზრდობის ღონისძიებების დაფინანსება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 04		54.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ონის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც მოქმედებს 9 წრე. აქედან 5 შემოქმედებითი, 3 შემეცნებითი და 1 საგნობრივი წრე. განათლებას იღებს ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 132 ბავშვი. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში დასაქმებულია სულ 9 თანამშრომელი. მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ბავშვები ეუფლებიან ფოლკლორს, ხალხურ საკრავებზე დაკვირის ხელოვნებას, საესტრადო სიმღერების შესწავლას, სასცენო ხელოვნებას, მხატვრულ კითხვას, საქართველოს ისტორიის შესწავლას, ჭადრაკის, ანა-ბანას, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს და საგნობრივი წრეებში (ფიზიკა, მათემატიკა, ინგლისური) ცოდნის გაღრმავებას.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე შემსწავლელი წრეების ჩამოყალიბება; კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; ფასიანი და საერო დღესასწაულების ღონისძიებების მოწყობა; მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, საქართველოს ფარგლებში.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების გაზრდილი მოთხოვნა არაფორმალური განათლებაზე; კულტურულ ღონისძიებებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეთა გაზრდილი მაჩვენებელი.		

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 360.3 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	360.3
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	50.0
06 02	სოციალური დაცვა	310.3
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	114.0
06 02 02	შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური დაცვა	20.1
06 02 03	ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	76.5
06 02 04	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი	0.5
06 02 05	სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დაცვა	30.0
06 02 06	9 და 26 მაისის, 8 მარტის, 17 ოქტომბერის და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება	4.4
02 06 07	არასაპენსიო ასაკის შშმ პირების, სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახების	4.0



	სოციალური დახმარების ღონისძიებები	
02 06 09	ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ღონისძიებები	2.6
02 06 10	ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება	58.2

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01		50.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისა; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება; ი) კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის დიაგნოსტიკის ხელშეწყობა.</p> <p>პროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	06 02 01		114.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური		
